ცნობის ფურცელი

053 სამშაბათი, 28 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 205

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

24 იანვარს 1903 წელს პეტერბურგში უეცრად გარდაიცვალა **მთავრად ნამყოფი, უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი**

ნიკოლოზ დავითის ძე.

28 ამა იანვარს, სამშაბათს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დილის 10 საათზე დაიწყება. (3—3)

მასაჟის კურსები
გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი ჲ გიმნასტიკა ავადმყოფობისა, (ტეხნიკა-ჩვენებანი) ჲ **საზოგადო პათოლოგია:** დ—რი სობოლევსკი. **ანატომია,** დ—რი ა. გ. მალალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—8)

რედაქციისაგან

ბევრი ხელის-მომწერი გვჩივის გაზეთი არ მოგვდისო. ეს იმის მიზეზით მოხდა, რომ დეკემბრის ბოლო რიცხვებსა და იანვრის დასაწყისში ერთბაშად მოვიდა დიდ-ძალი მოთხოვნა გაზეთისა. ეხლა ადრესები და კვიტანციები შესწორებულია და შემოწმებული და გაზეთი ყველას ეგზავნება. თუ ვისმე ახლაც არ მისდის გაზეთი, ვთხოვთ დაუყოვნებლივ შეგვატყობინონ, რათა ფოსტის უწყებას მოვსთხოვოთ პასუხი.

ზოგიერთი ხელის-მომწერი გვეკითხება, რატომ პრემია (რუსთაველის სურათი) არ მოგვივიდაო. ამათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ სურათი ამ ჟამად მზადდება ამხანაგობის ფოტოტიპიაში და ახლო მომავალში დაურიგდება ხელის-მომწერთ. (რ. 2—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ზუბალაშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ბ. ვ. ბახუტოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. ვ. ხიზნოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთით:

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევ.).

მასაჟი და „სუედის გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

[illegible]

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზთაზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (აგჭალის ქუჩის დასაწყისში) ტელეფონი № 274 (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

[illegible] 38 [illegible]

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქონის [illegible]. ტელეფონი 642

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 20—27 იანვრის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	ეკ. გაბაშვილი	1	—
2	ილუმენია ნინო.	6	—
3	გრიგოლ ნ. დიასამიძე . . .	6	—
4	ნოდარ გაბ. წინამძღვარიშვილი	6	—
5	სპირიდონ მ. ლოსაბერიძე .	6	—
		25	—

წარმოდგენა მე-33. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 იანვარს, 1903 წელს

ბენეფისი

მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ალლუმი

კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძისა, კარგარეთელი, ლექავა, რიონელი, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, აწყურელი, გამყრელიძე გედევანოვი, გუნია, ივანიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, საფაროვი, ქლენტი და სხ.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები: **ქ-ნნი გაშინსკაია, არციბაშევისა; ბ-ნნი შტეინბერგი, ტომაშევსკი და ხოდსკი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ოპოზიცია შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე და მისი იდეოლოგები

I.

„აირია მონასტერიო“ რომ იტყვიან, სწორედ ზედ გამოჭრილია შავი-ქვის მრეწველთა დღევანდელ კრებაზე! ვინ ვის ლალატობს და ვინ ვის მოყვრობს—საკვირველია! ისეთი აურ-ზაური და განგაშია ატეხილი, გეგონება—რაღაც არა ჩვეულებრივი უბედურება მომხდარა და მთელი ჩვენი ქვეყანა უნდა ამხედრდესო. რა ამბავია, რა მოხდა ასეთი? მრეწველთა კრება არისო! მერე რაო, რომ მრეწველთა კრებაა? განა სხვაგან არა ხდება ასეთი კრებები? აი, ამას წინად ბაქოშიაც იყო ნავთის მრეწველთა კრება; იქაურ მრეწველთ შავი-ქვის მრეწველებზე ნაკლები ინტერესები არა აქვთ, იქაც სასტიკი ბრძოლაა მსხვილ და წვრილ მრეწველთა შორის. მაშ იქ რატომ არ ხდება ასეთი განგაში? აი, ამ დღეებში დასრულდა სამხრეთ რუსეთის სამთო-მადნო მრეწველთა კრებაც; შედარებაც არ შეიძლება იქაურ დიდის საქმისა და შორაპნის მრეწველობისა, მაგრამ ჩვენსავით აურ-ზაური რომ არ აუტეხიათ? საქმეც ის არის, რომ ჩვენში ეს **ჩვეულებრივი** უბედურებაა.

დავწერე თუ არა ეს სიტყვა, მაშინვე თვალ-წინ წარმომიდგნენ „კვალი“-ს პუბლიცისტები, რომელნიც წითელ ხაზს გაუსვამენ ამ ადგილს და შემომძახებენ: შეხედეთ ამ ვაჟ-ბატონს, ხალხის გამოფხიზლებას, ან ამ გამოფხიზლების სიმპტომს, ის უბედურებად სახავსო. შემომძახებენ და მოჰყვებიან, —„ცნ. ფურცელი“ ხალხის მტერია, ხალხის მეგობრობა ფარისევლურად აქვს ხელზე დახვეული და ნამდვილად-კი კერძო ინტერესებს ემსახურებაო. „კვალი“-ს ამ არა საკადრის მანერაზე ქვემოდ ვიტყვით ორიოდე სიტყვას, აქ-კი გავიმეორებთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული აურ-ზაური და განგაში საზოგადო საქმეებში ნამდვილი უბედურებაა და ხალხის გამოფხიზლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სად ხალხი და მისი ინტერესები და სად მრეწველთა თვით-მმართველობის წინააღმდეგი ბრძოლა?! ჩვენში ყოველისფერი მასხარულ სახეს იღებს; ჩვენებური საზოგადო საქმიანობა უფრო ხშირად სასაცილო იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. რამდენ საქმესა და საზოგადო დაწესებულებას მოუღო ჩვენში ბოლო ყოვლად შეუწყნარებელ, დაუფიქრებელ და დამახინჯებულ ბრძოლის მეოხებით?! ეს რაღაც ეროვნული ნაკლულევანება ეგონება კაცს, თუ არ მიაქცევს ყურადღებას ჩვენს განუვითარებლობას, მოუმზადებლობას, მოუმზადებლობას საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის. დაიწყება თუ არა საქმე, ზურგის გამაგრებასაც არ აცლიან და ჩნდება თავისებური ოპოზიცია, რომელიც საქმიანობით-კი არ იჭურვება, არამედ იღებს ხელში ცულს და გულმოდგინედ სჭრის იმ ხეს, რომელზედაც ზის, გაბედულად ეძებს იმ დანას, რომლითაც ბოლოს თვითონვე უნდა გამოიჭრას ყელი. უბედურება ის არის, რომ ხშირად ამგვარ ოპოზიციის წარმომადგენელნი „კეთილის განზრახვებით“ არიან გატაცებულნი, მაგრამ ბრძოლის სუნი იმდენად უბრმავებს გონებას, რომ საქმის მტერს უერთდებიან და მშვენიერად ამზადებენ ნიადაგს, რომელზედაც ყოველივე საძაგლობა ჰხარობს, კეთილი ნაყოფი-კი უდროოდ ჰქნება.

მთავარი თვისება ამგვარის ბრძოლისა ის არის, რომ მებრძოლნი საქმეს უკუაგდებენ და პიროვნების წინააღმდეგობას სწერენ თავის დროშაზე. ერთ პირს წინ უყენებენ მეორეს, თუმცა ორთავეს ერთი და იგივე სამოქმედო პროგრამა აქვთ და ხშირად პირველი უფრო მეტის ღირსებით არის აღჭურვილი, მაგალითად გამოცდილებით, და იწყება განგაში...

„ლოლობერიძეები უნდა განიდევნონ ბანკიდანაო“! გამოაცხადა ერთხელ ქუთაისის ბანკის ოპოზიციამ და გაიმართა ბრძოლა. წამოაყენეს სხვა პირი და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც. მაგრამ ამასობაში ქვემძრომ ელემენტებმა ნიადაგი მოიმზადეს. აქ „საქმე“ კი არ ყოფილა მთავარი საქმეო, აქ პიროვნებაზე ყოფილა ყველაფერი დამოკიდებულიო, სთქვეს მათ და წამოაყენეს თავისი კანდიდატი—კალისტრატე; რით არის დიმიტრი დადიანზე კალისტრატე უარესიო, და რაც ამას მოჰყვა, ყველას კარგად ახსოვს: ამგვარად, „კეთილის განზრახვებით“ აღჭურვილთა მიერ დაწყებულს საქმეს უბედურება მოჰყვა და საზოგადო დაწესებულება დაიჩაგრა. ნამდვილი საქმიანი ოპოზიცია ამ ზომამდე არ მისცემს თავს დაიწყებას და ეცდება სხვა გზით გაასწოროს საქმე. ჩვენში კი, ამგვარად გაფუჭებული საქმე ბევრი გვინახავს და პიროვნების გამოცვლით გაკეთებული—ძლიერ, ძლიერ ცოტა...

სულ რამდენიმე წელიწადია შავი-ქვის მრეწველებმა ძლივს-ძლივობით მოახერხეს და თვით-მართველობა გაიჩინეს. ჯერ თვით-მართველობა არ დალაგებულა, კალაპოტში არ ჩამდგარა, არ მიუხედ-მოუხედნია, სამოქმედო პროგრამა სავსებით არ შეუმუშავნია (ერთ წუთას რთულის საქმისა და დაწესებულების განმტკიცება და აღყვავება ხომ არ შეიძლება?), რომ მასზე სასტიკი იერიში მიიტანეს. ვინ არიან ეს მებრძოლნი და რა უნდათ მათ ჯერ კიდევ ნორჩ თვით-მართველობისაგან?

როგორც ბევრჯელ წინათაც, ახლაც ოპოზიცია ორის ელემენტისაგან შესდგა: ერთი—ეგრედ წოდებულ „კეთილის განზრახვებით“ შეიარაღებული, მეორე კი ქვეშ-ქვეშა პირადის ინტერესებით გამსჭვალული. ორთავე ელემენტმა ერთსა და იმავე იარაღს მიჰმართეს: დამხობა პირისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალს საქმეს. ორივე ელემენტი გაბრაზებითა და გაშმაგებით იბრძვის ერთ და იმავე დევიზისათვის და დახედეთ, რა საოცარი სურათი, რა ანომალია გადაგვეშალა თვალწინ! „კეთილის განზრახვებით“ აღჭურვილი ელემენტი სამარცხვინო იარაღად გაუხდა არა საზოგადოებრივ ელემენტს და რასაც უნდა, იმას ჩაადენინებს ხოლმე. წინანდელ კრებაზე, მაგალითად, ანტისაზოგადოებრივმა კალისტრატიზმმა ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ ბ. კალატოზიშვილი წამოაყენა და მთელმა ოპოზიციამ ეს კანდიდატი გაიხადა თავის გმირად. ვინ არის ბ. კალატოზიშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე, რა სწერია მის დროშაზე, რა სარგებლობას უნდა გამოელოდეს მისგან მრეწველობა? ამ საკითხებზე ოპოზიციას თავი არ უმტვრევია: ოღონდ ზდანოვიჩი ნუ იქნება და **ვინც უნდა იყოს**, სულ-ერთიაო. აი, როგორ დაბრმავდნენ მაშინ „ხალხის ინტერესების დამცველნი“! მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს გმირები ახლა უფრო შორს წავიდნენ ჲ უარესი დევიზი დააწერეს თავის დროშაზე...

ახლოს მივიდეთ, მკითხველო, ამ ოპოზიციის ელემენტებთან და ვნახოთ—ვინ არიან, რა უნდათ და როგორ ემსახურებიან საზოგადო საქმეს; ამასთანავე გავიცნოთ მათი იდეოლოგებიც ადგილობრივ პრესაში.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. კომბის უცნაურმა სიტყვამ სარწმუნოების ბიუჯეტის თაობაზე ყველა რესპუბლიკელები ააშფოთა. რადიკალური გაზეთები დღემდე ჰკიცხავენ პირველ მინისტრს და სთხოვენ: მთავრობის უმეტესობას კარგად უნდა გააგებინოთ თქვენი აზრები სარწმუნოებაზეო. მთავრობის მომხრე სოციალისტების მეთაურმა ჟორესმა კი სხვანაირად

შეჰხედა საქმეს და ბეჯითად გამოესარჩლა კომბსა. ჟორესმა „პტი რეპუბლიკ“-ში წერილი დაბეჭდა ამ საქმის თაობაზე და დიდი პროტესტი გამოუცხადა რადიკალებს: რისთვის გაილაშქრეთ კომბზე, უმადური ხალხი ხართ და არც პოლიტიკურ საქმის ვითარება გესმისთო. ჟორესი სწერს: „რადიკალები ვერა ჰხედვენ, რომ თავიანთ მტრების სასარგებლოდა და გასახარად მოქმედებენ. ვის დააყენებენ კომბის ადგილას? სად არიან ისეთი მეთაურები და მოღვაწეები, რომ მთავრობის მეთაურობა შეიძლონ და უფრო გაბედულად, ძლიერად და გულწრფელად მოიქცნენ, სინამ იქცევა ის, ვისაც ეხლა ყოველნაირ ბრალსა სდებენ და ჰკიცხავენ? ეხლანდელ მინისტრის გადაყენებას უსათუოდ რეაქცია მოჰყვება და ჩვენ, სოციალისტები, ამის პასუხის გებას ჩვენ თავზე არა ვკისრულობთ. ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით პირველ მინისტრის აზრებს; ჩვენი იდეალი უფრო ფართოა, მაგრამ იმ ამაგს კი ვერ დავივიწყებთ, რა ამაგიც პირველმა მინისტრმა საფრანგეთს დასდო. კარგად ვხედავთ, რომ კომბის მტრებს არა სძინავთ და ყოველთვის იმის დამხობას ცდილობენ, ჩვენ არას დროს არ დავუჭერთ მხარს ამ მტრებს და კომბის წინააღმდეგ გალაშქრებაში არაფერ მონაწილეობას არ მივიღებთ.“

◆ პარლამენტის წრეებში მაინც ლაპარაკობენ, შეიძლება კომბი სამსახურიდან გადადგესო; იმასაც ამბობენ, შეიძლება კომბის მაგივრად პირველ მინისტრად საერო განათლების მინისტრი შომიე დაინიშნოსო. შომიე ვალდეკ-რუსოს მეგობარია და როცა ვალდეკ-რუსო სამსახურიდან გადადგა, მაშინვე ამბობდნენ, შეიძლება შომიე დაინიშნოს რუსოს ადგილასაო. შომიეს ის რესპუბლიკელები ემხრობიან, რომლებსაც ეხლანდელ სამინისტროს ანტიკლერიკალური პოლიტიკა ნამეტან რადიკალურად მიაჩნიათ. ამბობენ, შომიეს გარდა დუმერი, ლოკრუა და კიდევ სხვებიც არ იტყვიან უარს პირველ-მინისტრის ადგილზე, მაგრამ ამათი გამარჯვება ძლიერ საეჭვოაო.

ჰოლანდია. ჰოლანდიის დედა-ქალაქ ამსტერდამში ამ ჟამად რკინის გზის მუშებს, მაშინისტებს და ცეცხლის შემკეთებლებს დიდი გაფიცვა აქვთ გამართული; საქალაქო ტრამვაის მოსამსახურეებიც გაფიცულებს მიემხრნენ. ყოველი მისვლა-მოსვლა ამსტერდამში მოსპობილია. რკინის გზის სადგურებზე ყველგან დიდ-ძალი საქონელია მოგროვილი. ეს საქონელი ინდოეთში უნდა გაიგზავნოს გემებით, მაგრამ ნავთ-სადგურებამდე ველარ ჩაუტანიათ. ბელგიასა და საფრანგეთს მიმავალი რკინის გზის მატარებლები ცოტას იგვიანებენ, მაგრამ გერმანიაში მიმავლები კი მთელს საათს იგვიანებენ. გაზეთები ავტომობილებით მიაქვთ პროვინციებში. ამბობენ, როტერდამიდან ცხენოსანი ჯარის რაზმი გამოგზავნეს ამსტერდამში რკინის გზით, მაგრამ მატარებლის მაშინისტმა უარი თქვა სადგურ ამერსფოორტში: ამას იქით აღარ წავიყვან მატარებელსაო; რაზმი იძულებული იყო ცხენებით წასულიყო ამსტერდამში. აქაური ხალხი ძლიერ აღელვებულია. ელიან, რომ ყველა რკინის გზებისა და ტრამვაიების მუშები საყოველთაო გაფიცვას მოახდენენო, გაფიცვა მთელს ჰოლანდიას მოედება და გაფიცულთა რიცხვი 17 ათასამდე ავაო;

ინგლისი. ირლანდიელ „პოლკოვნიკ“ ლინჩს მეფემ აპატია და სიკვდილით დასჯის მაგიერ კატორგაში გაჰგზავნა. ამბობენ, ერთისა ან ორის წლის შემდეგ კატორგიდანაც გაანთავისუფლებენო. მაგრამ ამ საქმემ მაინც ყველანი ალაპარაკა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისში. ყველას უკვირს თუ როგორ მოჰხდა, რომ ინგლისის მოღალატე ლინჩი ირლანდიელებმა თავიანთ დეპუტატად აირჩიეს, მით უმეტეს უკვირთ, რომ ირლანდიელებმა ლინჩი განზრახ ინგლისის მთავრობის ჯიბრზე აირჩიეს, უნდოდათ ცხადად დაემტკიცებინათ თავიანთ ძლიერი სიძულვილი ინგლისისადმი. გაზ. „მანჩესტერ გარდიან“-ი ასე ჰხსნის ამ სიძულვილს:

„ინგლისელი და ირლანდიელი ერთის თვალით როდი უცქერის ჩვენ სახელმწიფოს. ინგლისელის აზრით, სახელმწიფო ხალხის თავისუფლებას იცავს და იმის კეთილ დღეობისა და ბედნიერებისათვის ჰზრუნავს. ყოველ ინგლისელს კარგად ესმის, რომ მთავრობა მარტო ინგლისის ხალხის ნებას ასრულებს, ამიტომ ინგლისელს თავისი ქვეყანა ძლიერ უყვარს და ძლიერაც უკვირს, რომ ბრიტანიის მოქალაქემ როგორ გაჰბედა და ჩვენის ქვეყნის მტრებს მიეშველაო. ირლანდიელი კი სულ სხვა თვალით უყურებს სახელმწიფოს. ირლანდიელს სახელმწიფო ყოველთვის თავის ხალხის დამღუპველად მიაჩნდა და დღესაც ასე მიაჩნია. ირლანდიელის აზრით, სახელმწიფო მარტო იმასა სცდილობს, რომ ირლანდიის თავისუფლება დათრგუნოს, ირლანდიელი გლეხი კაცი თავის მამულიდან განდევნოს, მთელი ირლანდია ჯაშუშებითა და წამქეზებელ აგენტების ხროთი გაავსოს და ირლანდიელ ხალხს თავისი სამშობლო ქვეყანა მიატოვებინოს. ირლანდიელების აზრით, ყოველი კაცი, ვინც ინგლისის მთავრობის დაღუპვასა და დამხობას სცდილობს—ნამდვილი გმირია. თუ გვინდა, რომ ირლანდიელებიც ინგლისელებივით უყურებდნენ ჩვენ სახელმწიფოს, ერთნაირად უნდა მოვექცეთ ორსავ ქვეყანას. ჯაშუშები, პოლიცია, სასტიკი წესები ვერ უშველიან საქმეს. მთავრობის სასტიკობა, სიტყვისა და კრების თავისუფლების აკრძალვა—ნამდვილ პატრიოტიზმს ვერას დროს ვერ გაავრცელებენ ირლანდიაში“....

ახალი ამბავი

◆ დღეს, 28 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი **სამეგრელოს მთავრად ნამყოფის** ახლად გარდაცვალებულის უგანათ. თავადის ნიკოლოზ დავითის ძის სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზეა განსვენებულის გვამს ამ დღეებში ჩამოასვენებენ მარტვილში დასაკრძალავად.

გარდაცვალებულის სურათი და ბიოგრაფია ხუთშაბათის დამატებაში გვექნება მოთავსებული.

◆ ტფილისის გუბერნიის **სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა** დაამთავრა პროგრამის განხილვა შაბათს, 25 იანვარს. ამ დღეს წაკითხულ იქმნა კომიტეტის დადგენილებათა ოქმი, რომლის შემდეგაც კომიტეტის წევრებმა, 43 კაცმა, ოქმს ხელი მოაწერეს. ამ დღეებში ოქმი კიდეც გაეგზავნება განსაკუთრებულ საბჭოს თავმჯდომარეს, ფინანსთა მინისტრს ბ-ნს ვიტტეს.

◆ როგორც გავიგეთ, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი იმპერიის ჟანდარმთა შეფი ფონ-ვალი მალე ტფილისს ჩამოვა.

◆ როგორც ისმის, **სოხუმის ნავთ-სადგურის** მუშაობას ამ წელშივე შეუდგებიან.

◆ **ბათუმის ქალაქის** გამგეობის წევრთა და ქალაქის მოურავის არჩევანი მომავალ თებერვალში იქმნებაო—ამბობს გაზ. „ჩერნ. ვესტნ.“

◆ **„შრომის“** ამხანაგობის კრება კვირას, 26 იანვარსაც არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, და ახალი კრება დაინიშნა 2 თებერვლისათვის.

◆ კვირას, 26 იანვარს, ტფილისიდან სამეგრელოში წაასვენეს სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ახლად გარდაცვალებულის თავ. ფარნაოზ დავითის ძის **მხეიძის გვამი**. რკინის გზის სადგურამდე გარდაცვალებულის გვამი მიაცილეს ტფ. თავად-აზნაურობამ თავის მარშლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის მეთაურობით, ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წარმომადგენელმა და დიდძალმა საზოგადოებამ.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ნ. გ. ქართველიშვილმა და ბ-ნმა ბაკინიოლმა ტფილისში ევროპიულად გამართულ **ბაზრის აშენება განიზრახეს**. ამის შესახებ სათხოვარი ბ-ნთ ქართველიშვილსა და ბაკინიოლს სამინისტროსათვის გაგზავნილი ჰქონდათ, ეხლა ეს სათხოვარი მთავარ-მართებლის კანცელარიას მოჰსვლია და გუბერნატორისათვის გადაუცია ცნობების შესაკრებად და წარსადგენად.

რა თქმა უნდა, სანოვაგე-ხორაგეულობის მსყიდველ-გამყიდველთათვის მეტად სასურველი იქმნება ასეთის ბაზრის გამართვა, მით უფრო, რომ მოთავეთ ისე უნდათ მოაწყონ საქმე, სოფლიდან შემოსული სანოვაგე-ხორაგეული ჩარჩებს აღარ ჩაუვარდეთ ხელში და პირ-და-პირ ამ ბაზარში მივიდეს გასანაღდებლად.

◆ გუშინ, 27 იანვარს, **თელავის** ქალაქის თვით-მართველობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ცნობები ხორცის დუქნების დაარსებისა და მოქმედების შესახებ.

◆ 24 იანვარს ტფილისის სანიტარო-სამკურნალო საბჭომ განიხილა ხმოსნის კარამურზას განცხადება **დიდუბეში** სამკურნალო-სანიტარო საქმის მოწყობის შესახებ. საბჭომ დაადგინა დაწესდეს განსაკუთრებით დიდუბისათვის ერთის ექიმისა და ერთის ფერშლის თანამდებობანი. საბჭომ განიხილა აგრეთვე საქმე ქალაქის სამკურნალოს განყოფილების დაარსების შესახებ დიდუბეში და გადასწყვიტა განყოფილების დასაარსებლად გადაიდვას 4500 მან. შემდეგ საბჭომ მოიწონა ექიმის გულულიანცის პროექტი გადამდებ სენით ავადმყოფთათვის მეხუთე თავშესაფარის აგების შესახებ. ამასთან დაადგინა ამ საქმის დაწვრილებით შესამუშავებლად აირჩიოს კომისია.

◆ სიღნაღის მაზრის ექიმს ბ-ნ ნაუმენკოვს უთხოვნია იქაურ ქალაქის სამართველოსათვის, **ღარიბთა დამხმარებელი საზრუნველო** დააარსეთ, რადგან მცხოვრებთა შორის სიღარიბე შესამჩნევად გავრცელდაო.

◆ გუშინ, ტფილისის სანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რადგანაც განზრახულ **საბაქტერიოლოგიო სადგურისათვის** იარაღს რუსეთში ვერ ვიშოვნით, საჭიროა საზღვარგარეთიდან დავიბაროთო, რისთვისაც უნდა გადაიდოს საჭირო ფული. გამგეობა მალე განიხილავს ამ მოხსენებას.

◆ სასკოლო კომიტეტს დაუდგენია, გაზეთებში გამოცხადებით მიიწვიოს მსურველი ქალთა **საპროფესიონალო სასწავლებლის** მმართველ ქალად.

◆ სოჭში მალე გამოაცხადებენ იმათ სიას, რომელთაც მომავალ საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ. („ჩ. გ.“).

◆ კვირას ტფილისის ვაჭრებს კრება ჰქონდათ მამასახლისის ი. ა. დავიდოვის 25 წლის სამსახურის აღსანიშნავად. კრებამ დაადგინა: მიეცეს ბ-ნ დავიდოვს „ქების ფურცელი“, სადაც აღნიშნული იქნება იმის ნამსახურობა; ვსთხოვოთ მთავრობას უმაღლესად ბრძანებულ ექნეს ბ-ნ დავიდოვს „სტეპენსტვო“-ს წოდება და გამოიცეს წიგნად 25 წლის სამსახურის ამბავი ბ-ნ დავიდოვისა. სახელოსნო სასწავლებელში იმის სახელობაზე სტიპენდიების დაარსების შესახებ ვაჭართა მომავალ კრებას მოხსენდეს, რადგან ხარჯთ-აღრიცხვაზე იქმნება ლაპარაკი.

◆ დე-სიმონის მოედანზე ვინმე ტომილინს ქალაქის დაუკითხავად აბანო გაუმართავს. ერთ-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

დაუმუშავებელი მასალა **ქართველ** ბელეტრისტებისათვის.

„რა ვარ მე?..“ ერთხელ კიდევ შეეკითხა თავის თავს გიორგი ბაგრატის-ძე, როდესაც ზამთრის საღამოს ოთახში იჯდა და გარეთ თოვდა და ისეთი სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი, რომ რკინის ნერვების ადამიანს და მტკიცე იმედებით გატაცებულს თუ არ შეაკრთობდა და არ მოჰგვრიდა მწარე ფიქრებს.

გიორგი ბაგრატის-ძეს კი აბა საიდან ექნებოდა ან რკინის ნერვები ან იმედი და ისიც მტკიცე! მან ისიც არ იცოდა კარგად, ჰქონდა თუ არა ნერვი. ნერვი ხომ გრძნობაა, და მას მხოლოდ იმის გრძნობა ჰქონდა, რომ არაფერს არა გრძნობდა. ხშირად იჯდა ერთს ალაგას გიორგი ბაგრატისძე, რამდენიმე საათი გაივლიდა და იგი ერთხელაც არ გაინძრეოდა. სიცხე თუ იყო, დაჯდებოდა პირდაპირ მზეზე, ოფლი გადაასკდებოდა, დაიწვოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც გახურებულს გულს აღარ შეეძლო ცემა, რაღაც მანქანისებურად წამოიძახებდა: ოხ, აქ ცხელაო! და განზე გადგებოდა. ან სიცივის დროს კარი ღიად დარჩებოდა, ქარი და სიცივე პირდაპირ ხვდებოდა გულზე, მაგრამ ვიდრე კანკალს არ დააწყებინებდა, ხელსაც არ გაანძრევდა.

„განა ჩემთვის არ ცხელა? განა ჩემთვის არ სცივა?“ იკითხავდა საბრალოდ გიორგი, ბილებდა ხელს და ძალზე იკბენდა, ხანდახან სისხლსაც-კი გამოიდენდა, მაგრამ თითქოს არაფერს არა ჰგრძნობდა არც ახლა; სამოწყალოდ დაუშვებდა ხელს ძირს და გაშტერებული დაიწყებდა ცქერას. თითქოს ტირილიც კი უნდოდა, მაგრამ ცრემლები არ ეკარებოდა მის თვალებს.

გიორგისთვის რომ გეკითხნათ: შიოდა და სწყუროდა თუ არა მას ოდისმე? გადაჭრილ პასუხს ვერ მოგცემდათ, თავის თავს მიმართავდა გაოცებული: მართლა მშიოდა როდისმეო? მართალია, სჭამდა ყოველ დღე სადილსა და ვახშამსაც, ღვინოსაც სვამდა, მაგრამ რისთვის სჭამდა და სვამდა, ან გრძნობდა თუ არა სმა ჭამის დროს რაიმე, ამის არა გაეგებოდა-რა. უკვირდა. მხოლოდ რა? რა იყო გასაკვირველი? ყველაფერი. მხოლოდ რა და რა სახელდობრ? ეს არ იცოდა. გაგონილი ჰქონდა, რომ არის ქეიფი, ლხინი, მხიარულება, მაგრამ პირადათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა არც ერთზე. რამდენჯერმე სცადა დათრობა ქეიფი, ბევრი დალია ღვინო, მაგრამ ვერ გამხიარულდა, მხოლოდ ის იგრძნო, რომ კიდევ უფრო უგრძნობელი შეიქნა.

მოუკვდა დედა, მოუკვდა ძმა, და, მოუკვდა შვილი, ერთად ერთი შვილი, გიორგი ბაგრატიძე თითქოს შეწუხდა ცოტად, მისმა სახემ თითქოს მოიწყინა, მაგრამ პირველ შეხედვისათანავე დაინახავდა ყველა, რომ ამ კაცის გულს არაფერი არ მიჰკარებია. როდესაც მისი ცოლი შვილის სიკვდილის გამო კედელზე თავს ატეხდა და წყალში გადავარდნასაც აპირებდა, გიორგიმ მხოლოდ ერთხელ წამოიძახა: შვილო დათიკო! მაგრამ ისე ცივად, რომ კანკალს დააწყებინებდა გამგონეს. მის სიტყვაში არ იყო არამც თუ რაიმე სიყვარულის ნასახი, არ იყო არავითარი გრძნობა, იყო მარტო სიცალიერე, სრული არარაობა.

* *

გიორგი პატარა კაცი იყო, პატარა მოხელე. დიდი ხანია მსახურობდა და გულმოდგინედაც ასრულებდა თავის სამსახურს. მოდიოდა კანცელარიაში ერთის საათით ადრე და ბრუნდებოდა სახლში ერთი საათით გვიან. სამსახურში დადიოდა კვირაუქმე დღეც. წარმოუდგენელი იყო მაზედ უფრო ბეჯითი და წესიერი მოხელე; სიწმინდე, სიფაქიზე, მორჩილება პირველი თვისება იყო მისი. თუმცა გრძნობები საზოგადოთ მიჩლუნგული ჰქონდა, მაგრამ რაღაც საკვირველი ინსტიქტიური შიში ჰქონდა თავის უფროსის, ღმერთსავით უყურებდა უფროსის სურვილი, აშკარად გამოთქმული სურვილი და ბრძანება კი არა, უფროსის იდუმალი ფიქრი წმინდა კანონი იყო მისთვის. შიშს მოჰგვრიდა არა მარტო უფროსი პირადათ, ჰკანკალებდა მისი სახლის ხსენებაზედაც-კი. როგორ გაბედავდა რაიმე სიტყვის შებრუნებას! უფროსს რომ ეთქვა, მდინარეში გადავარდიო, იმ წამსვე წარბშეუხრელად შეასრულებდა მის სიტყვას. ისეთს სიამოვნებას მოჰგვრიდა უფროსის დანახვა, რომ ბავშვივით ღიმილს დაიწყებდა.

ასეთი მორჩილი იყო, ასე ეშინოდა სხვა მოხელეებისაც. ყველას დაჯაბნებული ჰყავდა; ვინ რას უბრძანებდა, ვინ როგორ არ გაუწყრებოდა, მაგრამ ყველას უკონებდა, ყველასფერს ასრულებდა. ყველა ბატონად მიაჩნდა და თავისი თავი-მათ ყმად და მონად. მონურად ამუშავებდნენ, დასცინოდნენ, ზიზღით უყურებდნენ თანამოსამსახურენი, გლახა, დაცემულ არსებად სთვლიდნენ, არაფერ საყურადღებოს და საინტერესოს არ იტყოდნენ მასთან, მის ცოლს ეარშიყებოდნენ, ჰკოცნიდნენ მის წინაშე, მაგრამ არამც თუ საყვედური არ წამოცდენია ერთხელაც პირიდან, უბრალო ფიქრიც კი არ გაუტარებია თავში ვისმეს წინააღმდეგ.

ოცის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დააჯილდოვეს, ისიც მცირე დაწინაურებით. მაგრამ იგი მაინც სრული კმაყოფილი იყო. არც კი იცოდა, თუ რა იყო უკმაყოფილების გამოცხადება. ან ვისთვის უნდა გამოეთქვა უკმაყოფილება? უფროსისათვის? სხვა მოხელეებ-სათვის? ეს ხომ ისე მოუხერხებელი იყო, როგორც,—როგორც... გიორგის არასოდეს არ შეუწუხებია თავი ასეთის კითხვებით!

მონა იყო, უზომოდ დაჩაგრული, დამცირებული, მაგრამ ყველაფერი ეს ბუნებრივად მიაჩნდა. მისის აზრით, ეს ასე უნდა ყოფილიყო უთუოდ. საზიზღარი იყო? რა იყო მერე საზიზღარი! შეეძლოთ პირში შეეფურთხებინათ, შეეძლოთ ეცემათ. ხმას არ ამოიღებდა. რომ ეთქვათ, ქუჩაში იცეკვეო,

ერთს იქაურ სახლის პატრონს გაზეთს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ეს აბანო ბინძურად ინახებაო.

◆ შამხორიდან გვატყობინებენ: 27 იანვარს რკინის გზის აქაურს სადგურზე მძიმედ დაშავდა მატარებლის № 6 კონდუქტორი თაგარ მიხეილის ძე ჟანდარელი. ჟანდარელმა მოისურვა მოძრავი მატარებლიდან გადმოხტომა, მაგრამ მატარებლის ქვეშ ჩავარდა, რომელმაც მოგლიჯა მარჯვენა ფეხი მუხლს ზემოდ და მარჯვენავე ხელი. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ როგორც თიანეთის მაზრიდან გვატყობინებენ, ამ რამდენისამე დღის წინად დიდი სოფლის მცხოვრების ჯ. დათაშვილისთვის ცხვრების მოპარვა განუზრახავს სოფელ ქობეთის მცხოვრებს პავლე ჯადაშვილს, მაგრამ პატრონს მოუსწრია ქურდობაზე და იქვე მოუკლავს.

◆ როგორც ჭიათურიდან გვწერენ, 26 იანვარს ჭიათურის შტოს მე-34 ვერსზე ჩამოწვა ქვის ზვავი, რის გამო მატარებელმა № 88 საათ-ნახევრით დაიგვიანა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობას აზრადა აქვს განქორწინების საქმე სასულიერო უწყებას ჩამოართვას და საერო სასამართლოს გადასცეს. ამ საქმის შესამოწმებლად დანიშნულ კომისიას უკვე დაუმთავრებია მუშაობა და მასალა უწმ. სინოდისთვის გადაუცია.

◆ უწმ. სინოდს აზრადა აქვს შესცვალოს მონასტრის წესდებანი და უკეთ მოაწყოს თვით მონასტრები. ჰფიქრობენ, ზოგიერთ მონასტრებს სუბსიდია მოუმატონ და საზოგადოდ მეტი ფული გადასდონ მონასტრებისათვის.

◆ გზათა სამინისტრო ჰფიქრობს რკინის გზებზე ახალი, ორსართულიანი ვაგონები შემოიღოს საქონლის გადასაზიდად. ასეთ ვაგონში მოთავსდება 32 სული მსხვილფეხა საქონელი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრება *)

25 იანვარი

სხდომა დილის 11 საათზე დაიწყო. თავმჯდომარის ა. გ. ცეიტლინის წინადადებით მდივანმა წაიკითხა 23 იანვრის ოქმი. კამათის შემდეგ კრებამ ოქმი დამტკიცა.

თავმჯდომარე: გუშინ გადავწყვიტეთ ამოგვერჩია კომისია წესდების რამდენისამე §-ის შესასწორებლად; გთხოვთ ეხლა დაასახელოთ, ვინცა გსურთ.

ასახელებენ: დ. ნ. ბაქრაძეს, გ. გ. ემერიკს, ფ. მ. კიკნაძეს, თავ. ი. აბაშიძეს, გ. ფ. ზდანოვიჩს, გრ. ი. ოჰანეზოვს, ბ. პ. მოსეშვილსა და ს. ი. წერეთელს.

შემდეგ აღიძრა ლაპარაკი ისევ ხმების შესახებ, რომელსაც წინა დღეს თითქმის ნახევარი დრო მოანდომეს. კიდევ ბევრი იკამათეს, კიდევ ბევრ ხრიკებს მიჰმართეს ბ-ნმა ემერიკმა და მისმა „მეგობრებმა“, როგორც თვითონ უწოდა (ვის კი არ ვიცი!), მაგრამ ბოლოს მაინც ისე გათავდა საქმე, როგორც სასურველი იყო. კრებამ დიდის უმრავლესობით დაადგინა: შავი-ქვის 100 ათას ფუთის დამმუშავებელს (добывающій) ეძლევა ერთი ხმა, 200 ათას ფუთისას—2 ხმა; შავი-ქვის 300 ათას ფუთის გამზიდველს (вывозящій)—1 ხმა; 600 ათას ფუთისას—2 ხმა; ამგვარად, შავი-ქვის დამმუშავებელს შეუძლიან ჰქონდეს 1—2 ხმა, გამზიდველსაც კიდევ 1—2 ხმა; მხოლოდ, თუ ერთი კაცი კიდეც ამუშავებს ქვას და კიდეც ჰზიდავს, მაშინ შეუძლიან ერთად იქონიოს ოთხი ხმა. გარდა ამისა ისეთ მრეწველთ, რომელთაც შავი-ქვის დამუშავებითა და გაზიდვით საკუთარი 4 ხმა უკვე აქვთ, აღარ შეუძლიანთ ვექილობით სხვისი ხმაც იშოვონ.

სხდომა რამდენისამე წამით შესწყდა.

სხდომის განახლებისას შეუდგნენ წესდების დანარჩენ მუხლების განხილვას.

პროექტის მე 38 §-მა, რომელშიაც ნათქვამია, წვრილ მრეწველთ შეუძლიანთ ხმის შესადგენად შეაერთონ მათგან დამუშავებულ შავი-ქვის რაოდენობა და ხმა ვექილობით გადასცენ წარმომადგენელს, რომელსაც თავიანთ შორის ირჩევენო. ამ „თავიანთ შორის“-მა კარგი კამათი გამოიწვია. ბ-ნი ზდანოვიჩი ამტკიცებდა, თუმცა ძველს წესდებაში ეს „თავიანთ შორის“ არ ყოფილა მოქცეული, მაგრამ ყველას ასე გვესმოდა და მესამე კრების თავმჯდომარე ბ-ნი ჩინგერიც ამ აზრისა იყო; ეხლაც ამგვარად გვესმის ყველას; მხოლოდ საჭიროა, რომ წესდებაშიაც იქმნეს ეს სიტყვები შეტანილიო. ისიც სთქვა, ნაწილ-ნაწილად გარეშე პირისადმი ხმის გადაცემა იურიდიულადაც არ შეიძლებაო. ბ-ნნი ემერიკი და მდივანი თხოულობდნენ, რომ, როგორც საზოგადოდ მთელის ხმის, ისე ნაწილ-ნაწილადაც შეიძლებოდეს გარეშე პირზე გადაცემა; ამას მოითხოვს საქმის ინტერესი და არც იურიდიულად იქმნება უკანონობაო. თავ. ი. ნ. ნიჟარაძემ, თავ. პ. გ. წულუკიძემ და დ. ნ. ბაქრაძემ საჭიროდ დაინახეს ძველის რედაქციის დატოვება. პირველმა სთქვა: თუ საქმეს იურიდიულად შევხედეთ, მაშინ წვრილ მრეწველთ არ შეუძლიანთ თავიანთ ხმის ნაწილი გარეშეს გადასცენ; მხოლოდ ამგვარად კი შეიძლება მოხერხდეს: ჯერ წვრილ მწარმოებლებმა თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ ერთი პირი და იმას გადასცენ ხმის უფლება, შემდეგ კი ამ ერთს შეეძლება მთელი ხმა გარეშეს გადასცესო.

კრებამ დაადგინა ძველი რედაქცია უცვლელად დარჩეს.

მე 39 § ის შენიშვნამაც დიდი კამათი გამოიწვია. შენიშვნაში ნათქვამია, „ვექილობები კანონის მიერ დადგენილ წესით უნდა იქმნეს დამტკიცებულიო“. დ. ნ. ბაქრაძემ სთქვა, უკეთესი იქმნება, ამის მაგივრად ჩავუმატოთ, „ვექილობები უნდა დაამტკიცოს ბოქაულმა, ნოტარიუსმა, მამასახლისმა და სხვ.“ ასე უფრო გასაგები იქმნება, თორემ ბევრმა არც კი იცის, რა არის ეს „დადგენილ წესით“. ბ-ნი ემერიკი თხოულობდა, ისევ ძველის წესდების რედაქცია დარჩენილიყო, სადაც ვექილობის გადასაცემად ორის მოწმის დასწრებაა საჭირო. კრებამ ისევ ძველის წესდების რედაქცია დასტოვა. ამავე შენიშვნაში ნათქვამია, ვექილობები უნდა წარუდგინონ საბჭოს კრების გახსნამდის ხუთის დღით ადრე.

გ. გ. ემერიკი: რა საჭიროა ხუთის დღით ადრე ვექილობების წარდგენა; უკეთესი იქმნება კრების დაწყებამდის შეიძლებოდეს მათი საბჭოში წარდგენა. შესაძლებელია, ან ავად გახდეს კაცი, ან რამე შეემთხვეს ხუთის დღის განმავლობაში და ხომ დაჰკარგა ხმა, თუ სხვას არ გადასცა.

ბნ-მა ზდანოვიჩმა საჭიროდ დაინახა, ვექილობის მიღება კრების დაწყებამდის ხუთის დღით ადრე მოისპოს, რომ შესდგეს სიები და გამოცხადდეს, ვისა აქვს ხმა და ვის არა, თორემ, იქმნება, კრების გახსნის პირველ დღესვე აღმოჩნდეს ისეთი საკითხი, რომელიც კენჭის ყრით უნდა გადასწყდეს, და როგორ მოხერხდება კენჭის ყრა, როდესაც ვექილობები შემოწმებული არ გვექმნება და არ გვეცოდინება, ვისა აქვს კენჭი და ვის არაო.

ნ. გ. ჭიჭინაძე: კენჭის ყრით გადასაწყვეტი საკითხები თუ აღმოჩნდება, კრების ბოლოსათვის გადავდვათ, მანამდის ვექილობებსაც შევამოწმებთ.

თავ გ. შ. თუმანიშვილი იმ აზრისაა, რომ ვექილობები 5 დღით იქმნას წარდგენილი საბჭოში, თორემ, თუ ეცოდინებათ, კენჭის ყრით გადასაწყვეტი საკითხები ბოლოს იქმნება, პირველ სხდომებზედ კაცი არ მოგვეკარება. საჭიროა ყოველ საკითხის გარჩევის დროს მსჯელობა ვიქონიოთ; თორემ მარტო კენჭების რახა-რუხით საქმე არ გათავდებაო.

დ. ნ. ბაქრაძემ საჭიროდ დაინახა ვექილობების ადრე წარდგენა, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაშია მიღებული, მაგრამ საკმაოდ სთვლის, რომ ორი-სამის დღით ადრე იქმნას წარდგენილი.

კრებამ მიიღო ბ-ნ დ. ნ. ბაქრაძის წინადადება. ამით გათავდა წესდების პროექტის განხილვა. შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა პროგრამის მე-20 §-ზე, რომელიც შეეხება ჭიათურაში მავთულის გზებისა და შავი-ქვის მექანიკურ დასაქანებელთა (механическихъ спусковъ) მოწყობას და გზა-ტკეცილების გაკეთებას. პირველის პროექტის შედგენა მინდობილი ჰქონია ბ-ნ მიხაილოვს, რომელსაც სხვა-და-სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ მოუსწრია პროექტის შედგენა. უფრო ადვილად შესასრულებელი იქმნებოდა, სთქვა ბ-ნმა მიხაილოვმა, რომ ეს მავთულის გზები და მექანიკური დასაქანებლები ცალკ-ცალკე გვეკეთებინა თან-და-თანობით.

ნ. გ. ჭიჭინაძე: საბჭოს ნება არა ჰქონდა კრების დაუკითხავად ვისთვისმე მიენდო საქმე და ფული ეძლია; სანამ ბ-ნს მიხაილოვს საქმეს მისცემდა, უნდა კონკურსი გამოეცხადებინა; იქმნება, სხვებს უფრო ხელსაყრელის პირობით აეღოთ საქმე. მაგრამ საბჭოს ეს არ უნებებია და აი, პირადმა ინიციატივამა და ფორმალურ წესის დარღვევამ სადამდე მიიყვანა საბჭო.

ა. დ. მიხაილოვი: მე თანავუგრძნობ თქვენს მწუხარებას ფულის დაკარგვის შესახებ, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს ფული არ დაკარგულა: ჯერ მე მოსაცემ ფულიდან მხოლოდ $^{2}/_{3}$ მივიღე, სამაგიეროდ ნიველიროვკა უკვე მზადა მაქვს; რაც შეეხება პროექტის დამთავრებას, მზადა ვარ შევასრულო დანაპირები.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ექიმს ჭიჭინაძეს მხოლოდ ის ახსოვს, რაც თვითონა ჰსურს, და რაც არა ჰსურს, ის მალე ავიწყდება. მრეწველთა მესამე კრებაზე განვაცხადე, რომ, სანამ ბ-ნ მიხაილოვს მივანდობდი ამ საქმეს, მივმართე სხვა ფირმებს, სხვათა შორის, კოპელის ფირმას, მაგრამ ყველამ ისეთი პირობა მოითხოვა, რომელიც ჩვენთვის ხელსაყრელი არ იყო; კოპელის ფირმამ, მაგალითად, ასეთი პირობა დაგვიდვა: თუ მთელ საქმეს მე მომცემთ, მაშინ პროექტის შედგენაში არაფერს ავიღებთ; მაგრამ, თუ ჩემგან პროექტის შედგენის შემდეგ საქმე სხვას მიეცით, მაშინ კი პროექტის ფასი უნდა მიზღოთო; და აი, ის ფული, რომელიც მიხაილოვს მივეცით, სწორედ ის რაოდენობაა, რასაც კოპელი თხოულობდა. ექიმს ჭიჭინაძეს ჰგონია, თუ კი ერთხელ გაზეთებში გამოვაცხადეთ, მაშინვე ყველა მზა-მზარეულ პროექტებს წარმოგვიდგენს უფასოდო. გარწმუნებ, რომ არც ერთი ფირმა და არც ერთი ინჟენერი ტყუილად არაფერს გაგვიკეთებს.

ნ. გ. ჭიჭინაძე: არც ერთი აქ მოყვანილი საბუთი საქმეს არ ეხება. ბ-ნ ზდანოვიჩს ეუბნებიან, თქვენთვის არავის მოუნდვია ეგ საქმეო; ის კი მოხერხებულ ლაპარაკით

---

*) ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ჩემი უკანასკნელი ანგარიშები დაწვრილებით არ იწერება, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფს ადამიანს მიეტევება, რომ ყველაფერი ვერ დაიხსომოს.

დონ-ვალიანი

იცეკვებდა. რომ ეთქვათ, ტიტველი გაიარეო, გაივლიდა. არაფერი არ გაჩნდა, რასაც არ გასცემდა, თუ კი უბრძანებდნენ.

არ იცოდა ტირილი, არ იცოდა სიცილი, მაგრამ იცინებდა, იტირებდა ცხარე ცრემლებით, როდესაც ამას მოითხოვდა უფროსი. ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო მისი სულის და გულის ამოძრავება, რომელსაც ემორჩილებოდა მისი უსულო ავტომატად გადაქცეული არსება, იყო უფროსის შიში...

საზიზღარი იყო, სულით და გულით გლახა!

* *

ცოლს პირველად ძალიან უყვარდა; თავს ევლებოდა, სული არ შურდა მისთვის; ცოლი ლამაზიც იყო, მაგრამ გიორგის ერთხელაც არ უთქვამს სიყვარულის სიტყვა, ერთხელაც არ მოალერსებია ცოლს, თუ აკოცებდა, რაღაც მაშინალურად, ცივად.

ცოლმაც გული აიცრუა მაზედ და სხვებს დაუახლოვდა. გიორგისათვის ეს სულ ერთი იყო...

ამ საკვირველს ადამიანს არავითარი შეგნება არ ჰქონდა შვილისადმი მოვალეობისა. შვილს ისე უყურებდა, როგორც სადილს ან ვახშამს. ჰყავდა შვილი, კმაყოფილი იყო, მოუკვდა შვილი, კვლავ კმაყოფილი დარჩა. ხშირად მოხდებოდა, რომ დედა რამე საქმის გამო სახლში არ იყო, პატარა ბავშვი გაიღვიძებდა და დაიწყებდა ტირილს. გიორგის ესმოდა შვილის ტირილი, ბავშვის ხმა ქუჩაში გადიოდა, მაგრამ გიორგი ყურს უგდებდა და მხოლოდ და ფიქრადაც არ მოსდიოდა, მისულიყო შვილთან, მოჰფერებოდა, გაეგო, თუ რა უნდოდა. როდესაც ბავშვი წამოიზარდა, ჭკვიანი და ცნობის მოყვარე შეიქნა და დედამ წერა-კითხვა დაასწავლა, ბავშვი მივიდოდა მამასთან წიგნით ხელში, ეტყოდა: მასწავლეო! გიორგი ერთს სიტყვას თუ წააკითხავდა, მერე გაჩუმდებოდა და არც ხედავდა შვილს. დაღონებული ბავშვი იდგა უძრავად, უყურებდა, უყურებდა მამას, ცრემლები მოადგებოდა თვალებზე და მწარედ დაიწყებდა ქვითინს.

ხშირად მომხდარა: გიორგი ბაგრატისძე მიდიოდა ქუჩაში, შეხვდებოდა ვინმე მშიერი გლახა, რომელიც ტირილით სთხოვდა ერთს კაპეიკს; სახეზე ეტყობოდა, რომ მართლაც დიდი ხანია არაფერი უჭამია, ფეხზეც არა ეცვა-რა, ტანისამოსი შემოგლეჯილი ჰქონდა, პირისახე გალურჯებოდა და ჰკანკალებდა სიცივისაგან. „ღვთის გულისთვისო!“ იტყოდა გლახა იმგვარად, რომ მხეცს-კი მიხედავდა და შეიბრალებდა. ჩვენი გიორგი ერთს შეხედავდა მხოლოდ და უგრძნობლად ჩაივლიდა, თუმცა ხშირად ჰქონია კარგა ბლომად ფული ჯიბეში.

ერთხელ მეზობლის ალაყაფის კარებთან ვიღაცა ბავშვი ჰნახა ტალახში ჩავდებული, კატასავით ჰკნაოდა საწყალი, გარშემო ძაღლები შემოჰხვეოდნენ და დაგლეჯას უპირებდნენ. გიორგის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, არც არავისათვის უცნობებია და მეორე დილას ის ბავშვი დასახიჩრებული და მკვდარი ჰნახეს. როდესაც გიორგიმ გაიგო ეს ამბავი, წარბიც არ შეუხრია.

ერთხელ კიდევ გიოგის ერთს ღარიბ მეზობელს ცეცხლი გაუჩნდა, საბრალოს ყველაფერი ეწვოდა, კაცი პატრონი და დამხმარებელი არავინ ჰყავდა, გიორგი გარედან უყურებდა არხეინად და ერთი ნივთი არ გამოატანია. ის კი არა, საიდანღაც რომ უცებ ქურდი გაჩნდა და უპატრონოდ დაყრილი ტანისამოსი წაიღო, გიორგი იქვე იყო, მაგრამ ხმაც კი არ გასცა ქურდს.

უნახავს, რომ ძალად აუპატიურებდნენ ქალს, უნახავს, რომ უსამართლოდ სცემდნენ ადამიანს, დასცინოდნენ, უსამართლოდ სჯიდნენ, ერთი-მეორეს ლუკმას ჰგლეჯდა პირიდან, უნახავს ტანჯული და წამებული, მაგრამ არამც-თუ დახმარება არ აღმოუჩენია, უბრალო პასსიური თანაგრძნობაც არ აღძრულა მის გულში ვისმესადმი.

* *

გიორგი ბაგრატის ძე (ანუ უკეთ ბაგრატიჩ, თუ ბაგრატოვიჩ) ქართველი იყო. ეს თვითონაც იცოდა, იცოდა, რადგან ქართული გვარი ჰქონდა, ქართულად ლაპარაკობდა და ძნელი იყო ამის არ ცოდნა და დავიწყება. თუმცა იმავე კმაყოფილებით დაივიწყებდა ქართულს და უარ-ჰყოფდა ქართველობასაც, როგორითაც გიპასუხებდათ დღეს: ქართველი ვარო.

„ეჰ, შე ქართველო!“ მიაძახებდნენ ხოლმე დაცინვით თანამოსამსახურენი, და გიორგი გლახასავით დაიღრეჭდა. თუ ვინმე აძაგებდა ქართველებს: უტვინო და რეგვენი ხალხია, უზნეო, უპატიოსნო, ქურდი და ავაზაკიო,— გიორგი კმაყოფილებით უსმენდა. თუ ქართული ენის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ, რომ ქართული ენის დავიწყება საჭიროა, ქართული ენა ხელს უშლის გაერთებას, ქართული ენა თანაც უვარგისი ენააო, გიორგი ისეთნაირად იტყოდა: „ჰმ!“, რომ ძნელი გასაგები იყო, წინააღმდეგობის თქმა უნდოდა, თუ თანხმობას აცხადებდა. ქართულს ისტორიას უარჰყოფდნენ, ქართულ კულტურას ათახსირებდნენ, ქართველთა დიდებულ სახელებს ჩირქსა სცხებდნენ, გიორგისათვის ეს სულ ერთი იყო. ამგვარადვე დაუგდებდა ყურს, თუ ვინმე ქებით და დიდებით მოიხსენიებდა ქართველებს...

* *

ყოვლად უგრძნობი, გულ-მკვდარი და უსულო, არ რის მცოდნე, არ რის მხილველი, მხოლოდ ერთხელ თუ ჰკითხავდა წელიწადში თავის თავს: „რა ვარ მეო?“ მაგრამ ჰკითხავდა თუ არა, იმ წამსვე წერტილს დაუსვამდა თავის კითხვას. ძალა არ შესწევდა, რომ განეგრძო ამაზე ფიქრი და მიეცა თავისათვის პასუხი.

შეიძლება, მკითხველო, თქვენ მისცეთ პასუხი გიორგი ბაგრატიჩს, თუ რა არის!

ვინ არის გიორგი?

ზილეუბ.

სცდილობს გაძვრენ-გამოძვრენას, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველის.

დონ-ვალიანი.

(გაგრძელება იქნება)

წერილი რაჭიდან

შარშანდელი წელიწადი.—ხალხის გაჭირვება და სანოვაგის სიძვირე.

წავიდა 1902 წელი; წავიდა იგი იმისი და მოსვლა აღარ!—ასე იწყევლება დღეს ყოველი რაჭველი. ამ წლის უსიამოვნების დიდი, რაჭველის გულზე დასმული, ძალიან გვიან წაიშლება. მართლაც და 1902 წელი რაჭისათვის ყოვლად უსიამოვნო და საზიზღარი იყო. ზაფხული ძალიან გვალვიანი იყო, თითქმის მთელი ნათესობა ექვსის კვირის გვალვამ დედა-მიწასთან გაასწორა. როგორც იყო, ვეღირსეთ ჟუჟუნა წვიმას, და მუშის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; მაგრამ მალე სიხარული სამწუხაროდ შეიცვალა. 12 სექტემბერს დაიწყო თოვა და მთელი რაჭა თოვლით დაჰფარა. მოურთველი სიმინდები და დაუკრეფელი ვენახები. ბუნებამ ეს უბედურებაც არ აკმარა მუშა ხალხს და ქვემო რაჭის რამდენიმე სოფელი სეტყვამ მიწასთან გაასწორა. ერთის სიტყვით, წარსულ წელს მუშა ხელ-ცარიელი დარჩა ჭირნახულისაგან. მთელი რაჭა დღეს გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ეხლა აქ ფუთი სიმინდი 1 მ. 20 კ. ფასობს, ხოლო ღვინო (36 გირ.) 2 მ. 50 კ. იყიდება. საქონლის საკვები: თივა, ბზე და ჩალა ხომ სრულიად აღარსად იშოვნება. ორ-ზომა ფულს იძლევიან, მაგრამ ვეღარსად შოულობენ. რაჭაში თითქმის ყოველ წლობით სიძვირეა ჭირნახულისა, მაგრამ წელს რომ არის, ასე კი ღმერთმა ნუღარ მოგვასწროს. ბევრი გლეხი აპირებს საყვარელ ხარის დაკვლას საკვების უქონლობის მიზეზით. გლეხმა კარგად იცის, როგორ ძნელია უღლიდან ხარის გამოშვება და დაკვლა, მაგრამ რა ჰქმნას, როდესაც სხვა საშუალება არა აქვს! რაჭაში ყოველ წლობით ქუთაისიდან და ოსეთიდან ეზიდებიან ხოლმე ბლომად სიმინდს, მაგრამ ეხლა გზები შეკრულია დიდის თოვლის მიზეზით და ამასაც მოკლებული შევიქენით. ყოველი კაცი სულით და გულით ელის გზების გახსნას, ეგებ სასყიდელი სიმინდი მაინც ვიშოვნოთო. რაჭველი მუშა ყოველ სახელმწიფო გადასახადსა და მღვდლის დრამას ღვინის ნაფასურით იხერხებდა, წელს ამასაც კი მოკლებული შეიქმნა. რა ეშველება მუშა ხალხს, რით უნდა გაისტუმროს ათასი გადასახადი, ან რით გამოჰკვებოს ცოლ-შვილი?

ვანო ჭიჭინაძე.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ბევრი ვიფიქრეთ ძალიან, თუ რისთვის ან ვისთვის იყო წარმოდგენილი „მსხვერპლი უხასიათობისა", ან პიესის „გადმომკეთებელმა" რისთვის შესცვალა ჩეხოვის ივანოვი—ქართულ ნიკო ჯამბარაშვილად და გააცნო ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ვერა-გავიგეთ-რა. საკვირველია: როგორც ორიგინალურ პიესების, ისე პიესების გადმოთარგმნას გადმოკეთებას ჩვენში ისეთი ადამიანები კისრულობენ, რომელთაც, ეტყობათ, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ძლიერ ცუდათაც ესმით დრამატიული ხელოვნება და მწერლობა.

მაგრამ ყოველს ბარონს თავისი ფანტაზია აქვსო და ყველას შეუძლია რაც უნდოდეს, ის გადმოთარგმნოს და გადმოაკეთოს, ეს იმის თავისუფლებაა, ვერავინ ვერაფერს აუკრძალავს. მხოლოდ სამწუხარო და გასაკიცხი აქ ის არის, რომ ასეთ ყოვლად შეუფერებელ გადმოთარგმნილ თუ გადმოკეთებულ პიესებს ჩვენ ვხედავთ ქართულს სცენაზე. რა უნდა ვუთხრათ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომელიც ისეთ დრამებით ატკბობს ქართველს საზოგადოებას, როგორიც იყო, მაგალითად, „გრიგალი"? რას ფიქრობდა, ნეტავ, როდესაც წარმოადგინა ეს „მსხვერპლი უხასიათობისა"? წელს უკვე ათი-თხუთმეტი პიესა ვნახეთ მსგავსის შინაარსისა და გამგეობას ეგონა, რომ ჩეხოვის პიესით ახალს რასმე გვეტყოდა? რითი, იმითი რომ ურიის ქალი სამშობლოს, მშობლებს უარჰყოფს და გაჰყვება ცოლად საყვარელს კაცს (ამისთანა მაგალითი ჯერ ჩვენში ერთიც არ ყოფილა), რომელსაც შემდეგ სხვა შეუყვარდება; ურიის ქალი ჭლექით კვდება, ნიკო ჯამბარაშვილი მეორე ქალზე აპირებს ჯვარის დაწერას, მაგრამ სინიდისი სტანჯავს და თავსაც კი იკლავს რევოლვერით? ბატონებო, გვსმენია ეს და გვსმენია ათასჯერ! ან ორიგინალური განმარტება იყო ძველის ტიპის ჩეხოვის დრამაში, ან ვინმე შესანიშნავი მოთამაშე გვყავდა, რომ მისი ნიჭის გამოსაჩენად დაგვედგათ შინაარსით შეუფერებელი პიესა? შეიძლება ვინმემ სთქვას: ჩეხოვის პიესა ყველას მოეწონა რუსეთში. რუსეთში მას თავისი დრო ჰქონდა, თავისი წრე აქვს; ქართულ სცენაზე კი მისი თამაში არის ქართული თეატრის დამარხვა, დამარხვა, რადგან როდესაც თეატრი არ იძლევა შესაფერს საზრდოს, საზოგადოება გაურბის მას.

ვწუხვართ ძალიან, რომ ჩვენი დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წელს ასე გულ-გრილად, კანცელიარულად, ფორმალურად ეკიდება თავის მძიმე მოვალეობას.

ვწუხვართ, როდესაც ვხედავთ სცენაზე ნიჭიერს არტისტებს, რომელნიც დახავსებულ და შაბლონურ დიალოგებით თავს გვაბეზრებენ.

ჩ.

—

ხუთშაბათ, 30 იანვრისათვის, ქართულ თეატრში დანიშნულია **ბენეფისი დამსახურებულ არტისტ-ქალის მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა.** წარმოადგენენ თვით მობენეფისისა და მთელის დასის მონაწილეობით მხიარულ კომედიას „ალლუმს". წარმოდგენის შემდეგ გაიმართება საინტერესო დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერის საუკეთესო არტისტები.

—

◆ შაბათს, 25 იანვარს, სახალხო თეატრში ავჭალის ქარხნის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის დრამა „დრონი მეფობენ". თითქმის ყველამ კარგად დაასწავლა როლი, ასე რომ წარმოდგენამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.

—

ავლაბრის სახალხო თეატრი. შაბათს, 25 იანვარს, ავლაბრის სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს ან. ფურცელაძის ტრაგედია „ავაზაკნი". პიესამ უხეირად ჩაიარა, რადგან მსახიობნი მოუმზადებელნი იყვნენ. საყვედურის ღირსია „რეჟისორი" (როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს) იმისთვის რომ პიესა მთლად დაამახინჯა. ამას გარდა „რეჟისორი" თითო კაცს ორ როლს აძლევს. მაგალითად, გზოსა, ალეკოსა, ბოქაულისა და ციხის მცველის როლებს ასრულებდა გამოუცდელი სცენის-მოყვარე ა. მოსეშვილი.

კარგს იზამს დრამატიული საზოგადოების გამგეობა, თუ ყურადღებას მიაქცევს ავლაბრის თეატრს და ეცდება იქ ხეირიან წარმოდგენების მოწყობას. მით უმეტეს, რომ ამ წარმოდგენას ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრება.

დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

27 იანვარი.

პეტერბურგი. 26 იანვარს იდღესასწაულეს ბარონ გორაციო გინცბურგის დაბადებიდან 70 წლისა და იმის საზოგადო საქველმოქმედო მოღვაწეობიდან 40 წლის შესრულება. იუბილეი კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა. გინცბურგს ებოძა ორდენი წმინდა ანნასი, 1-ლი ხარისხისა. მიულოცა ფინანსთა მინისტრმა. იუბილეის დაესწრო 600 კაცი და 55 დეპუტაცია.

კიევი. მატარებლით მოასვენეს მიტროპოლიტ თეოგნოსტეს გვამი. დახვდნენ 3 ეპისკოპოსი, 4 არხიმანდრიტი, სამღვდელოება, გუბერნატორი და სხვანი. პროცესია სოფიის ტაძრისაკენ გაემართა; ქუჩებში ჯარი და მოსწავლენი იდგნენ. ტაძრის კარებთან დახვდნენ მაღალ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანე, ეპისკოპოსი სილვესტრი და სხვანი. გადაიხადეს პანაშვიდი. 27 იანვარს გადაიხდიან წირვას, შემდეგ ცხედარს წაასვენებენ კიევო-პეჩორის ლავრაში. დაკრძალვა სამშაბათისთვის არის დანიშნული.

ყაზანი. დაიწყო თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებამ გაჰგზავნა უქვეშევრდომილესი დეპეშა, რომელშიაც უსაზღვრო მადლობაა გამოთქმული იმ დიდათ მოწყალე სიტყვებისათვის, რაც მისმა უდიდებულესობამ კურსკის სადგურზე ბრძანა. როდესაც კრებამ მოისმინა მოხსენება სახალხო სწავლა-განათლების შესახებ, დაადგინა სახალხო სკოლის მოსწავლებელნი თავად-აზნაურთა წინამძღოლების თანხმობით ინიშნებოდნენ; ამას გარდა, თითეულს მაზრაში უნდა დაინიშნოს ისეთი ინსპექტორი, რომელიც სოფელს იცნობს; დაადგინა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ მონაწილეობა მიიღონ გუბერნიის სამოსწავლო საბჭოში. წინამძღოლთ მოიწვიონ ქალები დამხმარებლათ, რათა თვალ-ყური ადევნონ სკოლას და ზოგჯერ სამოსწავლო საბჭოს წევრებადაც ირჩევენ.

ლოძი. ამიერ-კავკასიის სოვდაგრები ჰყიდულობენ ადგილობრივ სამანუფაქტურო საქონელს სპარსეთის ბაზრებში გასასყიდად. სპარსელებთან იმათ სავაჭრო ურთიერთობა გამართეს.

კონსტანტინეპოლი. პორტამ, როგორც ეტყობა, საიდუმლო ცნობა მიიღო, რომ 5-დან 14 მარტამდე მაკედონიაში აჯანყება მოხდებაო. ასეთი ცრუ და გაზვიადებული ამბები ამ ბოლოს დროს ბევრი მოდის, რის გამოც უსაფუძვლო ხმები ვრცელდება.

მონპელიე. მარგერიტში მომხდარ უწესოებათა გამო ნაფიც მსაჯულებმა გამოაცხადეს განაჩენი, რომლითაც 80 ბრალდებული გამართლებულ იქმნა, ოთხს სამუდამო კატორგა გადაეწყვიტა, 7—კატორგაში გაგზავნა 5-დან 15 წლამდე, 2—დაპატიმრება 5 წლით და 5—დაპატიმრება 6 თვიდან 2 წლამდე.

მოსკოვი. 26 იანვარს გზათა მინისტრის თანადასწრებით მაშინების მკეთებელ ქარხანაში დღესასწაული გაიმართა. ამ დღისთვის ქარხანამ დაამზადა ოცდა ათი ათას მეერთე ორთქლ-მავალი. დაადგინეს: დააარსონ საქარხნო სასწავლებელთან სატეხნიკო კლასები, დააწესონ ათი სტიპენდია ქარხნის საინვალიდო სახლთან, დააკლონ შაბათობით სამუშაო დროს ორი საათი.

ოდესსა. მეღვინეთა და მევენახეთა კრებას სრულიად რუსეთის კრება დაერქმევა, რადგანაც რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხის წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას. წევრად ჩაეწერა 241 კაცი.

ლოძი. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქ კანის მიერ თავის მოკვლის ამბავმა. კანი მსახურებდა ლვოვის სატრანსპორტო კანტორაში, იგი რამდენისამე თვის წინად სადღაც გაჰქრა. 26 იანვარს კანი დაბრუნდა აქ, რათა იმათი გვარი გაემჟღავნებინა, რომელთაც ადგილობრივ ბანკიდან მოტყუებით დიდ-ძალი ფული გაიტანეს.

ჟენევა. პრინცესსამ, დრეზდენიდან უარის მიღებით დაღონებულმა, დაავალა თავის ვექილებს ხელახლა შეეცადნენ იმის სურვილის განხორციელებას.

რომი. სპეციელმა მუშამ ბარაბინომ გამოიგონა ისეთი მანქანა, რომლითაც ჩაძირულ გემის პოვნა შეიძლება.

ბლუმფონტეინი. ბურებთან ლაპარაკის დროს ჩემბერლენმა განაცხადა, რომ პეტიციაში აღნიშნული საჩივრები უსაფუძვლოაო. ქრისტიან დევეტმა სთქვა, რომ ვიდრე პიტტი, ქრისტიან ბოტა და მე ბურების წარმომადგენელი ვართ, არ მოვისვენებთ იმ დრომდე, სანამ არ მოვახდენთ აჯანყებას,—შეიარაღებულ-კი არა,—ისეთს, რომელსაც მთავრობის წინააღმდეგ აგიტაცია მოჰყვება.

ვაშინგტონი. ჰფიქრობენ, რომ საქმე იმ მოთხოვნილებათა ცალ-ცალკე განხილვის შესახებ, რომელიც ვენეცუელას წარედგინა, მალე დამთავრდება. სამედიატორო მოსამართლედ არჩეული იქმნება უთუოდ გარეშე საქმეთა მინისტრი.

ვაშინგტონი. ვაშინგტონ პატერსონმა შეიტანა სენატში წინადადება. ამ წინადადებით რუზველტს ევალება ურჩიოს გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა და იმ სახელმწიფოებს, სადაც ოქროს ვალიუტაა და აგრეთვე მექსიკასა, ჩინეთსა და იმათ, სადაც ვერცხლის ვალიუტაა, დანიშნონ წარმომადგენელნი, რომ შეერთებულ შტატების წარმომადგენლებთან ერთად მოილაპარაკონ განსაზღვრულ ფასის დაწესების შესახებ იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც ოქროსი და ვერცხლის ვალიუტაა.

ბერლინი. საშუალო აზიის გამომკვლევმა სვენ-ხედინმა წაიკითხა მოხსენება საგეოგრაფიო საზოგადოებაში, რომელმაც იგი საპატიო წევრად აარჩია და მიართვა ოქროს მედალი ნახტიგალის სახელობისა. იმპერატორმა უბოძა ორდენი მეორე ხარისხისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ყორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12. 28 წ.).

განცხადებანი

—

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის«

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პ' ოდეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი წინდაწინ უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხლავე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურეში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)